# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 142. ხუთშაბათი, 14 აგვისტო 1903 წ. გაზეთის № 2236.


## ჩემი თანამგზავრი

(ერთის მოგზაურობის ისტორია)

მ. გორკისა.*)

IV

ფეოდოსიამ იმედები ვერ გაგვიმართლა. როდესაც მივე-
დით, ვნახეთ, რომ ოთხასამდე კაცი უცდიდა სამუშაოს და
ისინიც იძულებულნი იყვნენ ბოგირის შენების ცქერით და-
კმაყოფილებულიყვნენ. რა ჯურის ხალხი გინდა, რომ აქ არ
იყო: თურქები, ბერძნები, ქართველები, სმოლენლები, პოლ-
ტაველები, მაწანწალები. ყველგან, როგორც ქალაქსა, ისე იმის
მიდამოებში, დაეხეტებოდნენ დაუძლურებული „დამშეული-
ბი“ და მგლებივით დაძრწოდნენ აზოვისა და ტ[...]
დის მაწანწალანი.

პირველად ჩვენც დამშეულნი ვეგონე[...]
ტორლიალნენ და იმდენს ხალხში შაქროს მხ[...]
დან აალალეს ჩემ მიერ ნაყიდი ჩოხა, მეც გულ[...]
მაჰრეს, მაგრამ... როდესაც შეგვატყეს, რომ მ[...]
სულიერი და საზოგადოებრივი ნათესაობა გვქ[...]
ყველაფერი დაგვიბრუნეს. მაწანწალები ხომ კე[...]
შობილი ხალხია, თუმცა გაქნილნი არიან. შე[...]
რა დავინახეთ, რომ აქ საქმე არა გვქონდა და[...]
გირის აშენება უჩვენოდ ჰსურდათ, გვეწყინა და[...]
ჩისკენ გავწიეთ.

ჩემმა თანამგზავრმა აასრულა თავისი ნათ[...]
და აღარაფერი დამიშავა. ბევრ შიმშილს ით[...]
და ისე იყო დაღვრემილი, როგორც დარიალის [...]
ბა. როდესაც დაინახავდა, რომ ვინმე სჭამდა რ[...]
მგელივით აუკაწკაწდებოდა კბილები. შიში შე[...]
რობდა ხოლმე, როდესაც იგი მოჰყვებოდა სხვა[...]
სხვა საჭმლის აღწერას. ახლა ქალების მოგონ[...]
იწყო. ჯერ ისე, ათასში ერთხელ ოხრავდა, მერ[...]
უხშირა მოგონებას. ამ დროს იმის სახეზედ ჰქრ[...]
ხარბი ღიმილი „აღმოსავლეთის კაცისა“ ბოლ[...]
ისე არ გაივლიდა მახლობლად ქალი, რა ხნოვ[...]
ბისა და შეხედულებისაც უნდა ყოფილიყო, [...]
არ გაეზიარებინა ჩემთვის რაიმე სიბინძურე, [...]
გულში აღძრული. ისე თავისუფლად სჯელ[...]
ქალების შესახებ, ისეთის საქმის ცოდნით, ისე[...]
გასაკვირველის შეხედულობისა იყო იმაზედ, [...]
ფურთხვის მეტს ვერას ვახერხებდი. ერთელ ვც[...]
დამემტკიცებინა, რომ ქალი შაქროზედ ცუდი არს[...]
არ არის, მაგრამ, რა დავინახე, რომ იგ, არამც [...]
შეურაცხყოფილად ჰგრძნობდა თავისს თავს ჩემის [...]
ხედულობისა გამო, არამედ მზად იყო გაშმაგებ[...]
ლიყო ამგვარის, მისის აზრით, დამცრებისათვ[...]
დავანებე ცდას თავი იმ დრომდის, ვიდრე შაქრ[...]
მაძღარს მოვასწრებდი.

კერჩისაკენ მინდორ-მინდორ წავედით, რად[...]
უფრო მოკლე გზა იყო. ამ დროს გულში მხოლ[...]
ქერის ერთი ჯინჯილა-ლა გვეგდო, ასე სამი[...]
გირვანქა მოვიდოდა. თათრისაგან ვიყიდეთ და უ[...]
ნასკნელი შაური მივეცით. ამ ნაღვლის მიზეზის გ[...]
რომ მივედით, არამც თუ სამუშაოს [...]ნის თავი ა[...]

*) იხილე დამატება № 139.

და, ფეხებსაც ძლივს მივაფრატუნებდით. შაქროს ცდა, რომ
მოწყალება ეთხოვნა, უნაყოფოდ მიდიოდა ყველგან მოკლედ
გვაძლევდნენ პასუხს: „თქვენისთანები ბევრნი დადიან!“ დიდე-
ბული ჭეშმარიტება იყო ესა: მართლაც, ამ აუტანელს წელს
საოცრად ბევრი დაეხეტებოდა ლუკმა პურის მოსაპოებლად.
დადიოდნენ დას-დასობით თითო დასში სამიდან ოცამდე ადა-
მიანი იყო. ბავშვებიც თან დაჰყავდათ. ბავშვები როგორღაც
გამსჭვირვალენი მოსჩანდნენ, ტყავი გალურჯებოდათ, რომლის
ქვეშაც თითქოს სისხლი კი არა, რაღაც ამღვრეული, აშმორე-
ბული და გაფუჭებული თხლე მოძრაობსო. ტყავქვეშ ისე მოს-
ჩანდა ძვლები, რომ იმის ხილვის დროს გული ქანჯნას იწყებდა
და აუტანელად კვნესოდა.

მზისაგან ქანც-გამოლეულნი, მშიერი და ნახევრად ტიტ-
[illegible] ბავშვები [illegible]. მზ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰერიზასი

ბილეთით მოგზაურობდა, შეიძლება ერთი აურ-
ფოთი ამტყდარიყო. მთელის ღამის განმავლობა-
ავწუწავდა სრუტეს ტალღები. გათენებისას, ხი-
გამოვძვერით, სრულიად სველები და გათოშვი-
ით. მთელი დღე ნაპირზედ ვიხეტიალეთ და მხო-
უზალთუნი ვიშოვნეთ. ესეც ერთმა ფოფოდიამ
მელსაც ტომრით ნესვები წავუღე სახლში.
სრუტეზედ უნდა გავსულიყავით და ტამანში მივ-
რამდენი ვემუდარე, მაგრამ არც ერთი მენავე არ
ა, რომ ჩვენ მეხოპედ დავეყენებინეთ და მეორე
ეყვანეთ. ყველანი შეთქმულნი იყვნენ მაწანწალათა
, რომელთაც ამას წინად აქ ბევრი „საქმენი საგმი-
ედინათ. საფუძველი ჰქონდათ ჩვენთვისაც ეჭვის
ემოეხედნათ.
ო ჟამს, რადგან გაჯავრებული ვიყავ მთელ მსოფლიოსა
იავის უიღბლობაზედ, გადავწყვიტე ერთის სახიფათო
ენა და, როგორც დაღამდა, კიდეც ავასრულე.

V

ა შავი ღამე ნელა მივიპარენით საბაჟო სადგურის
ე სამხედრო გემთან, რომლის მახლობლადაც სამი დი-
ე ნავი იდგა. ეს ნავები წყლის ნაპირას ქვის კედელ-
აბილ რგოლებზედ იყვნენ მიბმულნი. ბნელოდა, ქარი
, ნავები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, ჯაჭვებს ჩხარა-
უდიოდა. ქვიდან რგოლის ამოძრობა ჩემთვის სრუ-
ვილი იყო. იდნავ რომ მიმენძრ-მომენძრია, მიზანს
ი.
ით, ასე ხუთიოდ ალაბის სიმაღლეზედ, საბაჟო სადგურის
კი, გუშაგი, დადიოდა და რაღაცას უსტვენდა. ჩვენს
ომ გაჩერდებოდა, მუშაობას ვწყვეტდი, მაგრამ ეს კი
სიფთხილე იყო: იმას არ შეეძლო წარმოედგინა, რომ
წყალში ადამიანი ზის და არ ეშინიან ტალღამ გაი-
აგი. ამასთან ძალიან დაუხმარებლადაც განუწყვეტლივ
ბდნენ ჯაჭვები შავი უკვე ნავის ბსკერზედ გაიშოტ-
საც მეჩურჩულებოდა, თუმცა ტალღების შრიალის
ვარჩევდი. მიწიე და რგოლი ხელში შემრჩა. ნავი
მოიტაცა და უებ გასტყორცნა ნაპირიდან, ასე ხუთი
აშორებით. ხელ ჯაჭვზედ მეკიდა და ისე მივცურავ-
დეგ ნავზედ ავხტი. ორი ფიცარი ავაძერი, გავამაგ-
ების მაგივრად დავაწყვეთ.

ზევით ღრუბლები დაჰფრინავდნენ, ქვევით ტალღები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ. საჭეზედ მჯდომი შაქრო ხან მიმეფარებოდა თვალთაგან, რადგან საჭესთან ერთად წყალში შთაინთქებოდა ხოლმე, ხან ჩემს ზევით მაღლა აიწევდა და ყვირილით თითქმის ზედ მეცემოდა. ვურჩიე ფეხები ნავის სკამზედ მიება (მეც ასე მოვიქეცი) და ჩუმად ყოფილიყო, თუ არ უნდოდა, იმისი ყვირილი გუშაგს გაეგონა. მაშინ გაჩუმდა. იმის სახის მაგიერ თეთრს წერტილს ვხედავდი. მუდამ საჭეზედ ედო ხელი. ადგილების შეცვლა არ შეგვეძლო და ნავზედ მოძრაობისა გვეშინოდა. მივაძახებდი საითაც უნდა გაებრუნებინა ნავი, ისიც უცებ იგებდა ჩემს სურვილს და ყველაფერს ისე სწრაფად ასრულებდა, თითქოს ზღვაოსნად დაბადებულაო. ნიჩბების მაგიერი ფიცრები ცოტას მშველოდა და ხელებზედ მხოლოდ ბებერებს მიჩენდა. ქარი ჩვენსკენ უბერავდა და აგრე რიგად არ ვზრუნავდი იმაზე, თუ საით მივყვანდით, მხოლოდ ვსცდილობდი სრუტის გარდი-გარდმო გვევლო. ეს ადვილი მოსახერხებელი იყო, რადგან კერჩიდან სინათლე მოსჩანდა. ნავის ნაპირიდან ტალღები გადმოგვხედავდნენ ხოლმე, ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და მრისხანედ შრიალებდნენ. რამდენადაც შორს შევდიოდით სრუტეში, იმდენად ტალღები ძლიერდებოდნენ და ხმაურობას უმატებდნენ. რაღაც სულისა და გონების მომჯადოებელი ღრიალი ისმოდა. ნავი თან-და თან უმატებდა სწრაფად ფრენას. წყლის აღმართ-დაღმართში ხან ჩავცვივდებოდით, ხან ზევით ავვარდებოდით ხოლმე. წყვდიადი უფრო ემატებოდა და ღრუბლები ძირს იწეოდა. ცეცხლები აღარ მოსჩანდა და შიშმა შეგვიპყრო. გვეგონებოდათ, ამ განრისხებულ წყლის სივრცეს საზღვარი არა აქვსო. წყვდიადში ნავისკენ მსრბოლ ტალღების მეტი აღარაფერი სჩანდა. გაისმა ჰახუნი, ტალღებმა ერთი ფიცარი ხელიდან გამომტაცა, მეორე თვით დავაგდე ნავის ძირში და ორივე ხელებით ჩავებღაუჭე ნავის ნაპირებს. რამდენჯერაც ნავი მაღლა შეხტებოდა, იმდენჯერ შაქრო სასოწარკვეთილის ხმით შეჰღრიალებდა ხოლმე. ამ განრისხებულ სტიქიონით მოცულ და ხმაურობით დაყრუებულ წყვდიადში თავს უძლურად და შესაბრალისად ვთვლიდი. ნაღვლით მოცული ვიყურებოდი და ჩემს გარშემო საშიშარს ერთგვარობას ვხედავდი. ყოველ მხარეს მოსჩანდა მლაშე წინწკლებში გაფანტული მოთეთრო ფაფრიანი ტალღები. ჩემს ზევით სქელი, დაბრანძული ღრუბლებიც ტალღებსა ჰგვანდა. მარტო ერთს რამეს-ღა ვფიქრობდი: ყოველივე, რაც ჩემს გარშემო ხდებოდა, შეიძლებოდა განუსაზღვრელად უფრო ძლიერი და საშიში ყოფილიყო და, აი, მრცხვენოდა, რომ იგი თავს იკავებდა. სიკვდილი აუცილებელია. მაგრამ ეს უშიშარი, ყველაფრის განსხვავების განმსაზღვრელი კანონი უცილობლად უნდა გალამაზებულ დამშვენებულ იქმნას რამეთი, რადგან იგი ძალიან საშიში და თავხედია. ჩემთვის რომ სიკვდილი გადაეწყვიტათ და ეთქვათ: რომელი გირჩევნიან, ცეცხლში დაწვა თუ ჭაობში დახრჩობაო, ვეცდებოდი პირველი ამომერჩია, რადგან, რაც უნდა იყოს, პირველი უფრო როგორღაც საკადრისია.

— იალქანი გავუკეთოთ!—შემომძახა შაქრომ.

— სად არის მერე იალქანი?—

— აი ჩემი ჩოხა...

— გადმომიგდე! საჭე არ გაუშვა!

შაქრო საჭეზედ დაფათურდა.

— დაიჭი!

გადმომიგდო თავისი ჩოხა. როგორც იქმნა გავხოხდი ნავის ძირზედ, ერთი ფიცარი კიდევ ავაგლიჯე, ჩამოვაცვი ზედ ჩოხის სახელო, ავაყუდე ნავის სკამზედ, მივაჭირე ფეხები და როგორც-კი ავიღე ხელში მეორე სახელო და კალთა, მოულოდნელი რამ მოხდა... ნავი როგორღაც მაღლა შეხტა, შემდეგ ძირს დაეშო და წყალში ამოვყავ თავი. ერთს ხელში ჩოხა მეჭირა, მეორეში ნავის თოკი. ტალღები შრიალით მახტებოდნენ თავზედ და ვყლაპავდი მწარ-მლაშე წყალს. ყურები, ცხვირ-პირი სულ წყლით ამევსო. თოკს მაგრა ჩავჭიდე ხელი და წყალზედ ავდიოდ-დავდიოდი, თან თავს ვახლიდი ნავის ნაპირს. ჩოხა ნავში გადვისროლე და ვცდილობდი, შიგ ჩავმხტარვიყავ. ერთი ათიოდჯერ ვცადე და ბოლოს მეშველა, ცხენივით გადავაჯექ ნავსა, იმ საათში დავინახე შაქრო, რომელიც ყირამალა გადადიოდა წყალში და იმ თოკისთვის ჩაეჭიდნა ხელები, რომელიც, ის იყო, გავუშვი. თურმე თოკი ნავს გარშემო ჰქონდა შემოვლებული და გაყრილი იყო ნაპირებზედ ჩარჭობილ რგოლებში.

— ცოცხლები ვართ!—შევძახე.

ამ წუთში იგი მაღლა შეხტა და ნავის ძირზე ბრაგვანი მოსძვრა. ხელი ვტაცე და ორივენი პირის-პირ შევიყარენით. ნავზედ ისე ვიჯექი, როგორც ცხენზედ, ფეხები თოკებში მქონდა გაყოფილი, თითქოს უზანგებიაო. მაგრამ ყველა ეს სანდობი არ იყო: ყოველს ტალღას შეეძლო უნაგირიდან გადავეგდებინე, შაქრო მუხლებზედ ჩამომებღაუჭა და თავი მკერდში დამაჯახა. მთლად კანკალებდა, ვგრძნობდი იმის ყბების თრთოლვას. უნდა მომეხერხებინა რამე. ძირი ნავისა ისეთი სლიპი იყო, თითქოს გაუქონიათო. შაქროს ვუთხარი, ხელახლა ჩასულიყო წყალში და თოკისთვის ხელი არ გაეშვა. მეც ამგვარადვე მოვეწყობოდი ნავის მეორე ნაპირზედ. პასუხის მაგიერ იგი მკერდში თავს მახლიდა. ტალღები ველურ თამაშობით გვახტებოდნენ თავზედ. ერთს ფეხს თოკი ძალიან მტკენდა. ყოველის მხრით უშველებელი აგორებული ტალღები მოსჩანდა და შრიალით ჰქრებოდა.

ჩემი ნათქვამი ეხლა-კი ბრძანების კილოთი განვუმეორე შაქროს. ხოლო იმან უფრო ძლიერ დამიწყო მკერდში თავის ცემა. დახანება აღარ შეიძლებოდა. შაქროს ორივე ხელი გავაშვებინე და ვცდილობდი წყალში გადამეგდო, ისე-კი, რომ ხელები თოკისთვის ჩაეჭიდნა. და აი აქ ისეთი რაღაც მოხდა, რომ ამ ღამის განმავლობაში არაფერს არ შევუშინებივარ ისე, როგორც ამ ამბავმა შემაშინა.

— მახრჩობ?—წაიბუტბუტა შაქრომ და შემომხედა.

მართლაც საშიში იყო! საშიში იყო იმისი კითხვა, უფრო საშიში კითხვის კილო, რომელშიაც ისმოდა ფაქტის წინაშე გაუბედავი დამორჩილებაც, შებრალების გაუბედავი მუდარაც და უკანასკნელი ამოოხვრაც ადამიანისა, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს, რომ ჩემი სიცოცხლე უსათუოდ უბედურებით დაბოლოვდებაო. მაგრამ ყველაზედ საშიში, იმისი თვალები იყო.

— გამაგრდი-მეთქი!—შევძახე და წყალში გადვეშვი, თან თოკებისთვის ხელები არ გამიშვია. ფეხი რაღაცას დავკარი და პირველს წუთში ისე ვიყავ, რომ არაფერი არ მესმოდა. შემდეგ-კი გონს მოვედი. ჩემს არსებაში რაღაც მხურვალე რამემ იფეთქა, დავითვერი და ისე ძლიერად ვიგრძენ თავი, რომ ამ გვარად არასოდეს არ მიგრძვნია.

— მიწა!—შევყვირე.

იქნებ დიდებული ზღვაოსნები, როდესაც ახლად აღმოაჩენდნენ ხოლმე მიწას, ამაზე უფრო მეტის გრძნობით წამოიძახებდნენ ხოლმე ამ სიტყვას, მაგრამ არა მგონია-კი, რომ იმათ ჩემზედ ხმა მაღლა შესძლებოდათ დაყვირება. შაქრომ შეჰღმუვლა და წყალში გადახდა. მაგრამ მალე შეგვეცვალა გუნება. წყალი ჯერ კიდევ მკერდამდის გვწვდებოდა და მშრალი ნაპირი არსადა სჩანდა. ტალღები უფრო სუსტი იყო და თავზედ აღარ გვახტებოდნენ, არამედ ზარმაცად გადაცურდებოდნენ ხოლმე ჩვენს ზევით. საბედნიეროდ, ჯერ ხელიდან არ გაგვეშვა ნავი. იგი წესისამებრ გავასწორეთ, იქით-აქედან შემოვუდეგით, თოკში ხელი ჩავჭიდეთ და ფრთხილად გავწიეთ საითკენღაც, თან ნავს მივათრევდით.

შაქრო რაღასაც ბუტბუტებდა და იცინოდა. აქეთ-იქით ვიცქირებოდი ნაღვლიანად. ბნელოდა. მარჯვნივ და უკან ტალღათა უფრო ძლიერი შრიალი ისმოდა, ხოლო მარცხნივ და წინ—უფრო ნაკლები. მარცხნივ გავწიეთ. ნიადაგი მაგარი და ქვიშიანი იყო, მაგრამ სულ ოღრო-ჩოღრო. ხან-და-ხან ბსკერს ფეხს ვერ ჩავუწვდენდით ხოლმე. ერთი ხელი ნავზედ გვეკიდა, მეორე ხელით და ფეხებით ვუსვამდით. ხან-კი მუხლებამდე იყო წყალი. ღრმაში რომ შევიდოდი, შაქრო ბღაოდა, მე-კი შიშით ვკანკალებდი. ჩვენ წინ უცებ ცეცხლი გამოჩნდა.

შაქრომ შეჰყვირა რაც ძალი და ღონე ჰქონდა. მე კი კარგად მახსოვდა, რომ ნავი სახაზინო იყო და იმასაც მაშინვე მოვაგონე. იგი ჩაჩუმდა, მაგრამ რამდენისამე წამის შემდეგ ქვითინი გაისმა. არ შემეძლო დამემშვიდებინა.

წყალი პატარავდებოდა... აგერ მუხლამდე-ღა გვწვდება. ძირ-ძირს იწევს. კვირისტავებამდე ჩავიდა... მიწაზედა ვართ! მაინც მივათრევდით სახაზინო ნავს. ვეღარ შევძელით იმისი თრევა და მივატოვეთ. ფეხ-შიშველნი ვიყავით და გზაში ეკლებში ჩავცვივდით. ეკლები გვერჭობოდა ფეხებში. გულ-ნატკენები ვიყავით, რომ სტუმართ-მოყვარეობით ვერ მიგვიღო მიწამ, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევდით და ცეცხლისკენ გავრბოდით. ცეცხლამდე ერთი ვერსი იქნებოდა. ისე მხიარულად გიზგიზებდა, თითქოს შემოგვცინისო, ხოლო წყვდიადი იმის გარშემო საშიშრად ოხრავდა.

ვ. გიუნაშვილი

(შემდეგი იქნება)

[2- Ӡ. 47/208

# ზ ა ფ ხ უ ლ ი ს   ს უ რ ა თ ე ბ ი



სააგარაკო იბობა.



— რა უზრდელობაა ამის მხრივ, რომ დილა ადრიან ფანჯარაში შემოიხედა და დაგვაფეთიანა!..



კიდევ ერთი იმათგანი, რომელთათვისაც საჭირო კვლავ ცოტაოდენი მოსვენება ზაფხულში.



ქალი.—მხოლოდ მამიჩემის დასასჯელად, რომელიც, ზაფხულობითაც კი თავს არ ანებებს კითხვას, გაძლევ ნებას ჩუმად მაკოცო...



მოხელეს ისე ტკბილად სძინავს, რომ ამისთანა ფრინველსაც კი უნდა ისარგებლოს ადამიანის მოსვენებით.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადა

Доз. ценз. Тифлисъ, 11 Августа 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ.